საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლენინური

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 86 (6463) 16 ივლისი სამშაბათი 1991 წელი ფასი 5 კაპიკი

ეხმარებიან დაზარალებულებს

№ 23 საბზაო სამმართველოს შრომით კოლექტივს (უფროსი კ. გოგიძე) ბევრი სიძნელე და დაბრკოლება შეუქმნა საწვავის, სამშენებლო მასალების უქონლობამ იმ ეკონომიკურმა კრიზისმა რაც მთლიანად რესპუბლიკაში სუფევს. მიუხედავად ამისა, საქმე მაინც არ შეუწყვეტიათ, მექანიზმები ბევრმა მწყობრშია და გზის მეესაულები მობილიზებულნი არიან.

სულ განვლილ 6 თვეში გზის აშენებლებს 725 ათასი მანეთის სამუშაო აქვთ შესრულებული, აქედან კაპიტალურ მშენებლობაზე 68.500 მანეთის სამუშაო შესრულდა, დანარჩენი კი კაპიტალურ შეკეთებაზე დაიხარჯა.

დიდი მოცულობის სულ 217,1 ათასი მანეთის სამუშაო შესრულდა მიწისქვრით დაზიანებული ონის საავტომობილო გზის აღდგენაზე, ასევე ლენტეხის გზის 70-80 კილომეტრ მონაკვეთზე, წყალტუბო—ცაგერი—ლენტეხი—აეროპორტის გზაზე.

ეხმარებიან რა სტიქიით დაზარალებულ მეზობელი რაიონის მშრომელებს, არც მშობლიური რაიონის ტერიტორიაზე ტოვებენ ყურადღების მიღმა დაზიანებულ გზებს. ცაგერის ტერიტორიაზე 46 კილომეტრის მონაკვეთზე 77,4 ათასი მანეთის სამუშაოები აქვთ შესრულებული.

სოფლის დღიური

ცაგერი

თიგვის საიჯარო რგოლი

თიგვის ჯარგვ მოსავალია აეროპორტის ტერიტორიაზე, რომლის ფართობი 18 ჰექტარს შეადგენს. აგერ ერთი მეორე წელია, რაც აღნიშნულ ტერიტორიას საიჯარო რგოლი თიბავს (რგოლის ხელმძღვანელი ა. საღინაძე). რგოლის წევრები როლანდ საღინაძე, მალხაზ ოფარტელიანი და როინ ლეთოდიანი სათიბს მექანიზაციით თიბავენ. სულ 60 ტონა საკვები რეზერვი მაინცაა პირველ დათიბვაზე. ამის შემდეგ ამ საგულდაგულოდ დაცულ ტერიტორიას მეორეჯერ დათიბავენ რგოლის წევრები.

პირუტყვი მთაზე გადაიყვანეს

რაიონის მეცხოველეობის ფერმებს შორის ყველაზე დიდი და მრავალრიცხოვანი ცაგერის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმაა, სადაც სულ 111 სული პირუტყვია, აქედან 51 ფურია. ფერმაში ორი ბრიგადა მოქმედებს, მეცხოველეობის ბრიგადებს ნოდარ და ჟენია შკუბულიანები ხელმძღვანელობენ.

იმ ბრიგადამ, რომელსაც ნოდარ შკუბულიანი ხელმძღვანელობს, ამ დღეებში პირუტყვი საქერიის მთაზე გადაიყვანა. პირუტყვს მთაზე მწყემსები შაქრო ბენდელიანი, ეგნატე და დავით ზურაბიანები გაჰყვნენ. ადგილზე დარჩენილ 28 სულ ჯიშიან ფურებს და მოზარდებს ბაგურ პიროობებში ჟენია შკუბულიანი და ლია მუშკუდიანი უვლიან.

ტვიში

ტვიშის კოლმეურნეობის ფერმას 30 სულანდელ პირუტყვი შემორჩა. 170 სული მოსახლეობაში საიჯარო წესით მოსავლელადაა გაცემული.

ზაფხულის სიცხეები დაიწყო თუ არა, პირუტყვი ფერმიდან ლახეფის მთაზე გადაიყვანეს. 30 სულიდან 10 მეწველი ფურია, დანარჩენი კი მშრალი და მოსაარდი.

მეცხოველეობის ფერმის მწყემსები ბიძინა ბუაძე და რეზო ასათიანი მზრუნველობას არ აკლებენ პირუტყვს. იანვრიდან დღემდე მათ 100 კილოგრამი ყველი აქვთ დამზადებული.

კარგი საძოვრებია ლახეფის მთაზე, მწყემსები ყოველნაირად ცდილობენ მაქსიმალურად გამოიყენონ ზაფხულის—პროდუქტიულობის ზრდის პერიოდი და კმაყოფილი დაბრუნდნენ უკან.

სოფლის სიმაგრე

დღეს ქვეყანაში არსებულ მწვავე კრიზისულ პერიოდში, ყველა ეროვნულ მოქალაქე, ვისაც საქართველო უყვარს ცდილობს გამოამჟღავნოს მისი ეროვნული პოზიცია, რაც შეიძლება ბევრი საქმე აკეთოს, თავისუფალ საქართველოს ხომ დაუღალავი შრომა სჭირდება.

უსახელოელი გივი ლუკას ძე ყურაშვილი შვიდათეულ წგილს მიტანებული კაცია. ჯარგა ხანია მოიპოვა დასვენების უფლება, მაგრამ ჯარგად ესმის დღეს ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა და ვერ შელევია ვენახსა და ყანას, სოფლის ცხოვრების უღელშია ჩაბმული, ოდნავადაც არ შენელებია მიწისა და კუთხის სიყვარული, არ უყვარს იაფფასიანი ცხოვრება, ბავშვობიდანვე იქ სიკვდილი ერჩია სხვაგან დალხინებულ ცხოვრებას და საიმედო ბურჯად შესდგომია სოფლის ძლიერების თავხედობრივად შელევია იქაურობას, სამი შვილი გაზარდეს ვივიმ და ქალბატონმა ნუცამ, სამიეს შრომის სიყვარული დაანათლეს. ერთი ბიჭი ვერდით ამოიყენეს და მამა პაპის ფუძის სიყვარული უანდერძეს—გაგვინადირდა ახალგაზრდობა, აღარც სახლკარი აგონდებათ, აღარც დედ-მამა, აღარც ტყე ველი და ბაღ-ვენახი. ამბობს. ეს სოფლის მომავალზე დაფიქრებული ადამიანის ნათქვამია და არა ღვარძლიანი, ხელჩაქნეული კაცისა. ინასაც ამბობს: დალოცვილებს ჩვენი სოფლის სუფთა ჰაერი, ჭურის ღვინო და ანკარა წყარო რაღა მაშინ გაახსენდებათ, ქალაქად რომ ზაფხულის ხვატი სუნთქვას შეუკრავთო. აბა, რა სჯობია ხალხმრავლობას, სოფელი ცოცხლდება, სიხალისე გემატება, მაგრამ რომ ჩამოვლენ ხელი გაანძრიონ, ერთი ლურსმანი მაინც ააჭედონ და მიტოვებული ოჯახის დობე გაამაგრონო ჭარმაგ კაცს ეზოც კარგი მოვლილი აქვს და იჯარით აღებული 1500 კვადრატული მეტრი სასიმინდე და 1600 კვადრატული მეტრი ვენახი. პირუტყვსაც უვლის და თუ დასჭირდა ფრინველსაც, ოჯახი სავსე აქვს დოვლათით.

დიდხანს იცოცხლეთ, ბატონო გივი, თქვენ ისთანეებია დღეს ჩვენი სოფლის სიმაგრე და ძლიერება.

გ. ბაძრაძე

ავადმყოფობა ქართული მეფუტკრეობა

მაქვს უთვალავი...

—ამ სახლში ვლასი კუხალაშვილი ცხოვრობს. ბევრი ფუტკარი ჰყავს, იქნებ დაგაინტერესოთ თვითონაც სიამოვნებით ვიამბობთ საყვარელ საქმეზე,— გვეუბნება ჩვენი მეგზური, ბატონი ოთარ მუშკუდიანი და წუთის შემდეგ უკვე კუხალაშვილების ეზოში ვართ. მასპინძელი ერწუთიდანვე მოგვეწონა. თვალებში კეშანჩაბუდებული კარგი კაცი აშკარა ხიამოვნებით გვეპატიჟებოდა შინ.

ეზო-კარ-მიდამო უშველოდ სასაფლაოს ეკვრის და მახურის ეკლესიის ირგვლივ მდგარ ასწლოვანი ცაცხვების უყვავილო სურნელება, უცნაურად ერევა უამრავი ფუტკრის საქმიან ბზუილში. მზის ოქროცურვილი სხივები იკვრება დ ეს ყვავილაფერი—სურნელი, ბგერა, ფერი სოფლური ზაფხულის მშვიდ სიმფონიას ერთვის.

ეზოში სულ რამდენიმე სკა დგას. აქეთ წამობრძანდითო—და უკვე ვხედავთ ფუტკრის პაწია სახლებს, როფსა და გეჯას რომ უწოდებენ ლეჩხუმში. თხმელის ხეებია, სიგრძეზე დაჭრილი და ამოღრუბული, ჩვენს უხმო კითხვას პასუხობს მიხვედრილი მეფუტკრე. ყველაზე მეტად მოსწონსო ფუტკრის ოჯახს თხმელა, კარგად მრავლდებაო და იყრისო მასში. ერთი კია, ბოფლი სკასთან შედარებით ნაკლები იცისო, და მაინც საფუტკრეში ათეულობით როფი დგას, ორიოდე სკას თუ დაინახავთ. სკის დათვლა არ გვარგია. ოდითგან გამოუცდია თურმე ქართველ მეფუტკრეს. არც ჩვენ მასპინძელმა იცის, რამდენი ოჯახი ჰყავს საფუტკრეში და არც ჩვენ ვცდილობთ დათვლას—მასპინძლის პატივისცემაც რომ არ იყოს, რა დათვლის...

მუხლამდე ბალახში ჩამდგარნი ინტერესით ვადევნებთ თვალს ფუტკარსაც და მის პატრონსაც, უამრავი მწერი ირევა - ჩვენს თვალწინ, მაგრამ გულში შემოპარულ შიშს ამ მწერებივით ვიცილებთ და თავახდილ სკას ახლოდან ვათვალიერებთ. საფენსა და სახურავს შორის ამოსული ფუტკარ ავნე დაუწყია ფიქრი მიკვრა და თაფლის დამზადება. რატომღაც აგვიანებია, ბარ იყარაო ბრონზე. ახლა ეს თაფლი ტყულად უნდა დაღვაროსო—წუწუხდა ჩვენი მასპინძელი. მე რე ნათლად, დაწვრილებით აგვიხსნა ყველაფერი, ახალნაყარი ოჯახიც გვანახა, როფის კედელზე მიფუტკრული შ.ე-ყავისფერი მობზუილე მასა. მიახლოებისას ამ მასიდან პაწია, მბრწყინავ არსებებს გამოარჩევთ საქმიანი ფუსფუსით რომ გადადიან ერთმანეთზე.

საფუტკრიდან გამოსვლისას ქვაზე ბანჭოს ქაღალდი დავინახე, ცოტა გამიკვირდა. მოგვიანებით ამის პასუხიც გავიგე. შვილიშვილები სხედან და ფუტკარს დარაჯობენ, რომ ნასალი ნაყარი ეზოს გარეთ არ გავიდეს—აგვიხსნა ბატონმა ყველასიმ. როგორც ნაყარს დაინახავ, ლეთონი ლითონზე უნდა შემოკრა და სადმე ხეზე დაბზუტბზუტ-ბზუტ-მერე, თუ მე კვლოში ჩამოვბერტ ხიდან ტოტს შესეული ნაყარი.

ყველაფერ ამას მართლა დიდი სიამოვნებით გვიყვება ჩვენი მასპინძელი, სიამოვნებით და საქმიანი მზრუნველობით ეკვლება თავს ფუტკარს. მერე ციბრუტი გვაჩვენა-სარაჯების საფურაია. ციბრუტით გამოწურული ფიჭა კვლავ შეიძლება სკაში ჩაიდოს.

კარგახანს ვტკბებოდით ჩვენი მასპინძლის საუბრით. 78 წლიდან მივდევო ამ საქმეს, შეყვარება და შეთვისება ცოდნიაო ძალიან. განუწყვეტელ შრომას ითხოვსო ფუტკარი, შვილივით უნდაო ფერება—თვალი აუწყლიანდა შვილმკვდარ მამას. შვილები ბევრი უბოძა ღმერთმა, მაგრამ ყველა როდი შეარჩინა ბოლომდე. მანნა ადრიანად გაწირა. განგებამ. ახლა მისი ტყუპი გოგონები დარბიან დედულეთში და ბაბუას გულზე დარდსა ჰყრიან.

ასე დაეტოვეთ ჩვენ ეზოში მასპინძლის ოჯახი-ყველა მახურელივით გულღია და ალალი, სტუმართმოყვარე და დოვლათიანი, უთვალავი სკითა და უთვალავი სიკეთით.

ია ხმელიძე.

ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐᲕᲗ ᲙᲐᲜᲝᲜᲞᲠᲝᲔᲥᲢᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲮᲔᲚᲡ ᲨᲔᲣᲬᲧᲝᲑᲡ ᲬᲘᲜᲡᲕᲚᲐᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ პირველი წაკითხვით მიიღო კანონი მოქალაქეობის შესახებ. ტექსტის დახვეწამდე და კანონის საბოლოო სახის მიღებამდე გრძელდება მისი საჯაროდ განხილვა.

ამ დოკუმენტს დიდი ხანია ელოდნენ საქართველოს რესპუბლიკის მცხოვრებლები, რადგან მასთან უშუალოდ არის დაკავშირებული იმ კანონების მიღება და დამკვიდრება, რომლებმაც საბოლოოდ უნდა დაამსხვრიონ აქამდე არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტრუქტურების ნარჩენებიც კი და დასაბამი მიეცეს ახალ, სრულიად განსხვავებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ფორმაციას—ფაქტობრივად, ცხოვრების ახალ წესს.

განსაკუთრებით კი ამ კანონს ორგანულად უკავშირდება კანონის მიღება მიწის შესახებ და ამ ნიშნითაცაა იგი ჩვენთვის, სოფლის მცხოვრებთათვის მნიშვნელოვანი, რადგან დღეისათვის სოფლად დიდი გაურკვევლობაა, მეურნეობრიობის რა ფორმა დარჩება, სოფელი გადავა თუ არა გლეხურ მეურნეობაზე, რა პრინციპით განაწილდება მიწები?

კანონპროექტში მოცემულია ძირითადი დებულებები საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის შეძენის, მოქალაქეობის შეწყვეტა-აღდგენის, მოქალაქეობის საკითხის განხილვა-გადაწყვეტის წესისა და სხვათა შესახებ. აღნიშნული კანონპროექტი კანონად ქცევის შემდეგ გადაწყვეტად მოაწესრიგებს რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მრავალრთულსა და საჭირბოროტო საკითხს, ბევრ საგანსა და პროცესს მიუჩენს თავის კუთვნილ ადგილს.

კანონპროექტი დასტურია იმისა, რომ საქართველოს რესპუბლიკა ერთგულია დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით აღიარებული დებულებისა, რომ იგი ცნობს და თანაბრად უზრუნველყოფს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ადამიანის, ეროვნული, ეთიკური, რელიგიური და ენობრივი ჯგუფების ყველა ძირითად უფლებასა და თავისუფლებას, როგორც ამას მოითხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო პაქტები.

კანონპროექტის ცალკეული მუხლები თუ მათი ნაწილები, ბუნებრივია, განხილვისას საერთო მოწონებასთან ერთად იწვევს შენიშვნებს.

მოსაწონია ის, რომ კანონპროექტი საქართველოს მოქალაქეებისაგან ქართული ენის ცოდნის აუცილებლობას მოითხოვს. აქამდე ამ კანონის უქონლობამ საქართველო საკმაოდ დააზარალა. არასწორია, აუტანელია კაცი ოცი, ოცდაათი წელი, ან მთელი სიცოცხლე ცხოვრობდეს საქართველოში და არ ჰქონდეს ქართული ენის შესწავლის სურვილი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ იგი ან არ კადრულობს ან არაფრად აგდებს ამ ენას. ხოლო ძველმა ხელისუფლებამ კი მდგომარეობის განეიტრალებისათვის შემოიღო ძირითად საწარმო-ორგანიზაციებში რუსულ ენაზე საქმის წარმოება, ყველა რესპუბლიკური ღონისძიება, სატელევიზიო გადაცემათა მეტი წილი რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. დასავლეთის ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში კი დღეს ცხოვრება წარმოუდგენელია, თუ არ ფლობ იმ ქვეყნის ენას. ასე რომ, ეს მოთხოვნა სამართლიანია.

მოსაწონია ისიც, რომ თუ მოქალაქე გადაწყვეტს იცხოვროს საქართველოში და იყოს ქვეყნის სრულუფლებიანი მოქალაქე, უნდა გაითავისოს ჩვენი ჩვეულები, ადათ-წესები, ზნე ჩვეულებები, საერთო ცხოვრების წესი.

განსაკუთრებით ყურადსაღებია მეორე მუხლის ის ნაწილი, რომელშიც ნათქვამია: „საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქედ ჩაითვლება პირი, რომელიც მუდმივად ცხოვრობს საქართველოს რესპუბლიკაში ამ კანონის სამოქმედოდ შემოღების დღისათვის". ესე იგი, არავითარი შეზღუდვები, დისკრიმინაცია არ არის. საქართველოს მოქალაქის სტატუსს მიიღებს რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ადამიანი განურჩევლად ეროვნებისა, რელიგიისა.

არ შეიძლება არ დაგვებადოს შენიშვნა კანონპროექტის მერვე მუხლის პირველივე ქვემუხლზე, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქედ მიიღება პირი, რომელიც მუდმივად იცხოვრებს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში. აქ ლაპარაკია ყველა ეროვნების მოქალაქეებზე, მაგრამ არაფერია ნათქვამი იმ ქართველებზე, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ცხოვრობენ. ყველასათვის ცნობილია, რომ ზოგიერთი ჩვენი თანამემამულე ცხოვრობს სხვა რესპუბლიკებში, რაც განაპირობა პირადი, ოჯახურ-სამეურნეო, მეცნიერების დაუფლების მიზეზებმა. ბევრ მათგანს ოჯახიც აქვს. თუ აღნიშნულ რეგიონებში მცხოვრები ქართველები გადაწყვეტენ საცხოვრებლად დაბრუნდნენ საქართველოში, 10 წელი უნდა ელოდონ როდის დართავენ ნებას მათ სამშობლოში მოქალაქედ გახდომისა? ბუნებრივია, ეს არ იქნება სწორი. ამიტომ კანონში უნდა იქნას ასეთი შემთხვევები გათვალისწინებული.

კანონი „საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ" გამოქვეყნებულია განსახილველად. იგი დაიხვეწება და ხელს შეუწყობს ჩვენი რესპუბლიკის დამოუკიდებლობას, წინსვლას.

ნ. ნემსაძე.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ.

დამთავრდა პირველი საგაზაფხულო გაწვევა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგან ჯარებში—რესპუბლიკის ეროვნულ გვარდიაში. თბილისის მახლობლად შეიკრიბა გვარდიაში სამსახურის მსურველი ასობით ჭაბუკი. აქ, შავნაბადაზე, კეთილმოწყობილ კორპუსებში, სადაც ადრე პიონერულ და კომკავშირულ მუშაკთა სკოლები იყო მოთავსებული, მშვენივრად მოწყობილ კლასებში, სასადილოებში დაიწყო მეცადინეობები —ახალგაზრდა გვარდიელების ყოველდღიურობა.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ლეიტენანტი მ. გურგენიძე.

Ი. ᲨᲚᲐᲛᲝᲕᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

(საკადეტის ფოტოქრონიკა — საქინფორმი).

ᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲪᲘᲐ

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐᲗᲕᲘᲡ

ᲐᲛᲐᲠᲐᲜᲯᲘ— ᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘ ᲛᲪᲔᲜᲐᲠᲔ!

როგორც ცნობილია საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა, ამიტომ შეიძლება თამამად ითქვას, რომ ქართველი მეცხოველის ოცნების ასრულებაა მინდვრის გაუფართოებლად საკვების სიუხვის შექმნა. აღნიშნული შესაძლებელია მაღალმოსავლიანი კულტურების შემოტანა-დანერგვით.

საქართველოში ახალშემოტანილია უნივერსალური მცენარე ამარანტი, რომელიც პირუტყვისათვის განკუთვნილ ყველა საკვებ კულტურას აღემატება მწვანე მასის მოსავლიანობით. იგი ჰექტარზე იძლევა 2500-3000 ცენტნერ მწვანე მასას და 60 ცენტნერამდე მარცვალს.

ეს საოცარი მცენარე 3-4 მეტრამდე სიმაღლის იზრდება, თითოეული 30-35 კილოგრამამდე მწვანე მასას, 1000-მდე ფოთოლს და 100 000-მდე თესლს იძლევა, მას არცერთი მავნებელი-დაავადება არ ეკარება, ადვილად ეგუება ყოველგვარ გარემო პირობებს და მოჰყავთ იქ, სადაც სხვა კულტურა არ ხარობს, არის უაღრესად გვალვაგამძლე, სამჯერ ნაკლებ წყალს ხარჯავს, ვიდრე პარკოსნები, ორჯერ ნაკლებს ვიდრე მარცვლოვნები, (წელიწადში სამჯერ ითიბება), საუკეთესო საკვებია მსხვილფეხა პირუტყვის, ღორის, ცხვრის, ფრინველისთვის და განსაკუთრებით მომგებიანია ღორისათვის. მისგან დამზადებული სილოსი სორგოსა და სიმინდზე უფრო უუათიანია. იგი იძლევა 40% კომბინირებული საკვების ეკონომიას. ამ საკვებით გამოკვებილი ზოგების წონამატი დღე-ღამეში 450 გრამს აღწევს. ამარანტით შეგვიძლია ყოველგვარი პირუტყვი გამოვკვებოთ კომბინირებული საკვების გარეშე.

ამარანტის მარცვლისაგან მზადდება ზეთი, რომელიც 29 დასახელების სამკურნალო პრეპარატის დასამზადებლად გამოიყენება. ერთი კილოგრამი ამარანტის ზეთის ღირებულებაა 97 დოლარი. ამ მცენარის ერთი ჰექტარი ნათესი კი 90000 მანეთ მოგებას იძლევა.

ამდენად, მეურნეობათა ხელმძღვანელების და სპეციალისტების ამარანტით დაუინტერესებლობა იმას ნიშნავს, რომ ხელიდან გავუშვათ პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფის რეალური შესაძლებლობა.

ამარანტის გავრცელების, მისი მოვლა-მოყვანისა და რაციონალურად გამოყენების საკითხებს ეძღვნება რესპუბლიკური სემინარი, რომელიც გათვალისწინებულია ჩატარდეს მიმდინარე წლის 26 ივლისს სიღნაღის რაიონის წნორის მეცხოველეობის კომპლექსში, სადაც მსმენელებს საშუალება ექნებათ ადგილზე გაეცნონ ამ კულტურას და მიიღონ კონსულტაციები და ყველა ის მასალა, რაც აუცილებელია ამარანტის კულტურის მოვლა-მოყვანისათვის.

სემინარში მონაწილეობის მსურველებმა საჭიროა მიმართონ საქაგროინფორმს მისამართზე: თბილისი მარშალ-გელოვანის პროსპექტი №4-ა. ტელეფონი 38-09-24

Ი. ᲓᲕᲐᲚᲘ.

საქაგროინფორმის დირექტორი.

Უ. ᲯᲘᲑᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

წნორის მეცხოველეობის კომპლექსის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში.

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲝᲜᲜᲝᲑᲐ

ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

დილით ავტოსატრანსპორტო საწარმოს ეზოში შევედი და ჩემთვის საინტერესო პიროვნებას ვეძებდი. შესვლისთანავე თვალში მომხვდა მწკრივში ჩაყენებული ავტობუსების კოლონა, უბენზინობის გამო მოწყენილად რომ გამოიყურებოდნენ. მუშა-მოსამსახურეებს (ცდაღლილი, უხასიათო გამომეტყველება ჰქონდათ, მეწყინა, როცა შევიტყვე, რომ დავით გრიგოლის ძე ლიპარტელიანი დღეს სამსახურში არ არისო. არადა ინტერესით გელოდი მასთან, როგორც მშრომელ ადამიანთან შეხვედრას.

შემდეგ ბედმა გამიღიმა და ძალე სასაუბროდ შეეხვდი მას. პირველი შეხვედრისთანავე ვიგრძენი, რომ საქმე მქონდა ნამდვილ მშრომელ, პატიოსან ადამიანთან. ასეთი ადამიანები დღესდღეობით ბევრნი არიან. მან, როგორც საუბარში გამოიკვეთა, შრომით განვლო მთელი მისი ახალგაზრდობა. განა ცოტა იმუშაო ისეთ რთულ საქმეზე, როგორიცაა ცხელდამუშავება და ელექტროშედუღება?

—1959 წლიდან, საწარმოს დაარსების დღიდან მოუწყენლად ვმუშაობ ამ საქმეზე. 55 წლის რომ გავხდი, დამინიშნეს პენსია იმის გამო, რომ, ეს ხელობა ძალიან რთულია, ახლა 60 წელს მივაღწიე, რა თქმა უნდა, ძველებურად აღარ შემიძლია, მაგრამ ჩემი ხელობა ისე მიყვარს, რომ ვეღარ ვრჩები და გული აქ მომიწევს, —მითხრა მან.

ვკითხე, თუ არიან ახალგაზრდები დაინტერესებული მისი ხელობის შესწავლით. ჩემს შეკითხვაზე გამიღიმა და მითხრა: ახალგაზრდებს, როგორც მოგეხსენებათ, იოლი ცხოვრება უყვართ, რთულ და ძნელ საქმეს გაურბიან.. ისე როგორ არ მყავდნენ, მაგრამ დღეს ისინი ინჟინრები არიან და სხვაგან მუშაობენ.

ირგვლივ მიმოვიხედე, თვალში მეცა სახარატე ჩარხი, რკინის სახვრეტი, ელექტროდები, ნაირნაირი რკინის ხელსაწყო და დეტალები. მართლაც, აქ მომუშავე ადამიანს დიდი შრომა და ენერგია დასჭირდება.

—მუხლჩაუხრელი შრომაა საჭირო, ზოგჯერ დილიდან საღამომდე ჩარხთან მიწევს ტრიალი. მარტო სამსახური არ ყოფნის კაცს, ოჯახსაც ხომ უნდა მივხედო.

დაკით ლიპარტელიანი ორი შვილის მამაა, შვილიშვილებიც ჰყავს თუმცა ადრე შრომითი წარმატებისათვის ჯილდოები ბევრი ჰქონია მიღებული, მის დასახელებაზე თავი შეიკავა, ახლანდელ დროში მაგათ ფასი არ აქვსო.

მე მიმაჩნია, პატივცემულო დაკით, თქვენი უმწიკვლო ცხოვრება ყველაზე დიდი ჯილდოა თქვენთვის. ღმერთმა გვიმრავლოს თქვენისთანა შრომისმოყვარე, გამრჯე და პატიოსანი ადამიანები, სწორედ, თქვენისნაირები სჭირდება დღეს ჩვენს ერს!

ᲜᲘᲜᲝ ᲣᲕᲘᲠᲘᲚᲘᲐᲜᲘ.

პური ჩვენი არსებისა

დილით, შუადღისას თუ საღამოთი, როცა პურის მაღაზიას ხალგამომცხვარი პურით დატვირთული მანქანა მიადგება, იდ მიანთა გრძელი რიგი შეირხევა, ლოდინით დაღლილები სწრაფად ციწევენ დახლისაკენ, რომ ეუთვნილი თითო პური იყიდონ, ბევრი იმასაც ახერხებს, ორ და სამ ცალს „გამოპკრას" ხელი და სხვა რომ თითოს ძლივს აიღებს, ისინი უკვე დატვირთულები მიდიან შინისაკენ. მართალია, მათ შორის ისეთებიც არიან, რომლებსაც ოჯახში სულთა რაოდენობის გამო მართლაც ერთ პურზე მეტი სჭირდებათ, მაგრამ ბევრს ხომ პირუტყვისათვის მიაქვს.

ერთი დღე საცხოვში

ქალაქ. ცაგერს და მის მიმდებარე ტერიტორიას ერთი პურსაცხოში ემსახურება. მას შემდეგ, რაც პური გაიაფდა, ხოლო ფქვილზე ისევ მომატებული ფასი დარჩა, ხალხი მიმდებარე სოფლებიდან ჩამოდის აქ პურის საყიდლად, გამვლელებიც, ლენტეხში თუ ქუთაისში მიმავალნიც „გაიძღვანენ" თითო-ოროლა პურს და თუ ადრე ზემოთხსენებული ფურნე დღეღამეში 2—2,5 ტონა პურით აკმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნას, ახლა 5 ტონა პურიც კი არაა საკმარისი.

ჩვენ გადავწყვიტეთ ჩვენი თვალით გვენახა პურსაცხობი და მისი მუშაობა. თუნდაც ერთი დღით.

პურსაცხობის გამგესთან ჯანიკო ლეთოდიანთან ერთად შენობაში შევედით, რომელიც, როგორც გამგემ აღნიშნა, 1968-69 წელს უნდა იყოს აშენებული, შენობა საკმაოდ მიძველებულია, არც შიგნით იყო სახარბიელო მდგომარეობა, დანადგარ-მოწყობილობები დიდი ხანია შესაცვლელია, მიიღეს კიდეც ახალი დანადგარი, მაგრამ შენობაში მისი შეტანა ვერ შეძლეს, ფურნის შენობა მთლიანად შესაცვლელია და ახლებურად დასამონტაჟებელი.

ძალიან უჭირთ მუშაობა გამგეს და დღევანდელი ცვლის მუშებს: ოთარ ლიპარტელიანს, სულიკო ყურაშვილს, ჯუსტან და ჯემალ ახვლედიანებს. გუშინდელი საღამოს 5 საათიდან დღის 11 საათამდე 3 ტონა პური მივაწოდეთ მომხმარებელს, ჩვენი მუშაობის პირობები არ გვაძლევს მეტის საშუალებასო, გვითხრეს. ფურნეში 2 საზელი მოწყობილობაა, 1 საცერი და 2 საცხობი ღუმელი. ფურნე 24 საათიანი დატვირთვით მუშაობს, ეს შეუძლებელთან ერთად დაუშვებელიცაა, ამას წინათ საცხობი ღუმელიდან აგურებიც კი ჩამოიყარა ზედმეტი ტემპერატურის გამო. უჭირთ ცვლის მუშებსაც არანორმალური შრომა. ფურნეში ძირითადი სამუშაოები ხელით სრულდება, ხოლო ზემოთ აღნიშნული 2 ღუმელი მხოლოდ 700 კილოგრამ პურს იტევს.

—ფქვილით მომარაგების საქმე როგორა გაქვთ?—ვეკითხებით.

—ამჯერად აქ ერთი კვირის მარაგი გვაქვს, ისე კი ქუთაისიდან შეუფერხებლად ვმარაგდებით, ცოტა გადმოტვირთვა გვიჭირს, მაგრამ ყველაფერს ვეგუებით, სხვა რა გზაა.

—გამომცხვარი პურის ხარისხი არც თუ ისე ხახარბიელოა, გაცივდება და თითქმის საკვებად უვარგისია, რისი ბრალია?

—გამომცხვარი პური უნდა გაგრილდეს ფურნეში და შემდეგ გადაიზიდოს მაღაზიაში, მაგრამ ჩვენ როგორც კი გამოვაცხობთ, მაშინვე ეზიდებიან, რომ მომხმარებლები დროულად დააკმაყოფილონ, თქვენც კარგად ხედავთ მაღაზიასთან მაინცაა რიგები.

მთელს ქალაქში ერთადერთი ფურნე მართლაც არასახარბიელო მდგომარეობაშია, ჩვენი აზრით, დრაა იზრუნონ ახლის მშენებლობისათვის მოწოდებულმა პირებმა და ორგანიზაციებმა, სანამ კედლები მთლიანად არ დარღვეულა, და ის ორი საზელი და ერთი საცერი წყობიდან არ გამოსულა. ამასთან საჭიროა სოფლის საკრებულოებმა იფიქრონ თითოეულ სოფელში მცირე მოცულობის პურის საცხობის მშენებლობაზე მაინც, რაც მნიშვნელოვნად განტვირთავს ქალაქის პურსაცხობს. რა თქმა უნდა, რაიონში ბევრი პრობლემაა, მაგრამ პირველ რიგში დახმარება აღმოვუჩინოთ პურსაცხობის ობიექტს, მის პერსონალს, რადგან „პური ჩვენი არსობისაა", გამომცხვარი პურის გარეშე ჩვენ ვერ ვიარსებებთ და შეიძლება მალე უკიდურეს მდგომარეობაშიც აღმოვჩნდეთ.

ნ. უვირილიანი.

მ. მახარობლიძე.

სამუშაო დრო — მხოლოდ სამუშაოს

დრო ადამიანისათვის მეტად ძვირფასია, ამიტომ თუ რაიმეს სჭირდება რაციონალურად გამოყენება, უპირველესად დროს, რადგან მისი უკან დაბრუნება შეუძლებელია.

ჩვენთან რვა საათიანია სამუშაო დღე, მუშაობა ძირითადად 9 საათზე იწყება და 18 საათზე მთავრდება. შესვენება ერთსაათიანია, თითქმის ყველა კატეგორიის მუშაკს ასეთი განრიგით უწევს მუშაობა.

დადასტურებულია, რომ შრომის ნაყოფიერება დილის საათებში ყველაზე მაღალია, ამიტომ ჯეროვანი მნიშვნელობა ენიჭება დილით სამსახურში, ორგანიზაციასა თუ საწარმოში თავის დროზე გამოცხადებას, სამუშაო დროის ეფექტიანად გამოყენებას.

წესრიგი და დისციპლინა ნებისმიერ დროს წარმატებული საქმიანობის თავიდათავი იყო, დრო ადამიანისათვის მეტად ძვირფასია, ამიტომ თუ რაიმეს სჭირდება რაციონალურად გამოყენება, უპირველესად დროს, რადგან მისი უკან დაბრუნება შეუძლებელია.

ჩვენთან რვა საათიანია სამუშაო დღე, მუშაობა ძირითადად 9 საათზე იწყება და 18 საათზე მთავრდება. შესვენება

არის და იქნება კიდეც. დღეს შექმნილი ეკონომიკური კრიზისის ერთ-ერთი მიზეზთაგანი სწორედ რომ დისციპლინის მოშლა და უპასუხისმგებლობა, საქმისადმი უდარდელი დამოკიდებულებაა.

ჩვენი პატარა ქალაქის საწარმოებსა და დაწესებულებებში როგორ მნიშვნელობას ვანიჭებთ სამსახურში მოსვლა-წასვლას? ამის გასაგებად ერთი დღეც კმარა. დადექით ქალაქის ცენტრში და მიხვდებით, რომ ზოგ წარმოება-დაწესებულებაში მოშლილია შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინა. ვის როდის გაუხარდება, იმ დროს მიდის დილით და შესვენების შემდეგ სამუშაოზე, ხოლო 17 საათიდან მასიურად იწყება სამუშაოდან წასვლა. ბევრი მუშა-მოსამსახურე შეიძლება ითქვას მთელი დღის განმავლობაში ერგას ცენტრალურ მოედანზე, მიმდებარე ქუჩებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. [illegible] ვინაა. [illegible] ბლიკის მასშტაბით ყოველი წუთი, ყოველი დღის უქმად გატარება, ათასობით მანეთის პროდუქციის დანაკარგის ტოლფასია. მაშინ, როცა დღეს ყველაზე მეტად გვჭირდება მობილიზება, საქმისადმი გულერთგული დამოკიდებულება, რათა მიღწეულ იქნას ქართველი ხალხის სანუკვარი ოცნება.

ძველი განა ყველაფერი დასავიწყებელია? — ეწყობოდა რეიდები, შემოწმებები და გამოვლენილი ფაქტების რეაგირება ხდებოდა, ამიტომაც იშვიათად ჰქონდა ადგილი დაგვიანებებს, გაცდენებს, ქალაქში უსაქმოდ დგომას.

თავისუფლება ვის არ სწადია, მაგრამ მას საძირკვლის საფუძვლიანად ჩაყრა სჭირდება, ეს კი დროის რაციონალურ გამოყენებაზე არის დამოკიდებული.

საჭიროა მეტი მოეთხოვოს წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, რათა დაამყარონ ჯეროვანი წესრიგი მათდამი რწმუნებულ ორგანიზაციებში.

აფრიკა - არაბეთის მატერიკი „უტევს" კავკასიას

რესპუბლიკის მეცნიერებმა—გეოლოგებმა და გეოფიზიკოსებმა დაადგინეს მიწისქვეშა დამანგრეველი ძალის „ქარიშხლის" მასშტაბი, რომელიც თავს დაატყდა საქართველოს მიმდინარე წლის გაზაფხულზე კავკასიონის მთავარი ქედის მთისწინეთში. ბრმა სტიქიის ყველაზე ძლიერი დარტყმები კი განიცადა მიწისძვრის ეპიცენტრში მყოფმა მოსახლეობამ, რომელმაც მოიცვა 2400 კვადრატული კილომეტრი ფართობის მთები და ველები.

—როგორც ცნობილია, სიტყვა „ეპიცენტრი" ნიშნავს გარკვეულ წერტილს, რომელშიც მოხდა ან ხდება ესა თუ ის მოვლენა.—უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს კოტე ცხომელიძეს გამოკვლევის ერთ-ერთმა ავტორმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. ი. ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა, გეოლოგიამინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორმა შოთა ადამიამ—რაჭის მიწიძვრის ეპიცენტრი კი აღმოჩნდა ვრცელი და ღრმა „ჭრილობა" წიაღში, რომელიც გრძელდებოდა თითქმის კავკასიონის მთავარ ქედამდე 30 კილომეტრი სიგრძისა და 30 კილომეტრი სიგანის ზოლად.

მიწისძვრის მთავარი მიზეზებია გეოდინამიკური პროცესები, რომლებიც სამყაროში ხდება, განსაკუთრებით—პლანეტის ისეთ რეგიონებში, როგორიც არის კავკასია, კურილისა და იაპონიის კუნძულები. მაგალითად, რაჭის მიწისძვრის ეპიცენტრი მდებარეობდა კავკასიონის წიაღის ორი უმთავრესი გეოლოგიური სტრუქტურული ერთეულის—დიდი კავკასიონის ახალგაზრდა ნაოჭა მთებისა, რომელიც წარმოიქმნა და განვითარდა უკანასკნელი 10-15 მილიონი წლის განმავლობაში, და ასაკით გაცილებით ძველი ამიერკავკასიის შუა მასივის შესაყარზე.

მილიონობით წლის წინათ ახლანდელი კავკასიის, მათ შორის საქართველოს ტერიტორიის ადგილზე, მდებარეობდა ძველი ტეტისის ოკეანე და მისი განაპირა ზღვები. წყლის ამ მასივში მდებარეობდა აგრეთვე ასევე ძველი კუნძულები. ამ რეგიონში დედამიწის ქერქმა თანდათანობით იწყო რელიეფის შეცვლა. დაიწყო დედამიწის ქერქის მსხვილი უბნების დიდი დრეიფი. ევრიკაზიის მატერიკს თანდათან უახლოვდება დედამიწის აფრიკა—არაბეთის უბანი. პირისაგან მიწისა თანდათანობით ალიგავა ტეტისის ოკეანე, მისი განაპირა ზღვები. მაგალითად, კუნძულების ძველი ჯაჭვისა და ზღვის ფსკერის ნაცვლად გაჩნდა კავკასიონის, მათ შორის საქართველოს, თანამედროვე ტერიტორია, გიგანტური შეკუმშვის პროცესში კი „აღიმართნენ" მისი ახლანდელი მთის ქედები და მასივები. ეს პროცესები ჩვენს დღეებშიც არ დასრულებულა. მაგალითად, უკანასკნელი 10 მილიონი წლის განმავლობაში აფრიკის ბაქანი კვლავ უახლოვდება ევრაზიისას კავკასიის რაიონში წელიწადში 1,5-2 სანტიმეტრის სიჩქარით, არაბეთის ბაქანი კი—4 სანტიმეტრის სიჩქარით. მთის ქანების უზარმაზარი მასების სწორედ ასეთი „მოგზაურობის" პროცესში წარმოიქმნა კიდეც ახალგაზრდა ნაოჭა მთები და სხვა აწევ-დაწევა, სხვადასხვა ტიპის დიდ რღვევათა სისტემა, რომელთა ზონაში ხდება კიდეც ყველა მიწისძვრა კავკასიაში.

ჩვენ გვნერენ

●

ბედნიერებაა, ადამიანს შველა უნდოდეს და შველოდე. ზოგჯერ ტკბილი სიტყვა წამალზეც უებარიაო ამბობენ. უფრო მეტი ძალა აქვს ტკბილ სიტყვას, თუ იგი ისეთი საიმედო ადამიანის მიერაა ნათქვამი, როგორიცაა ორბელის საექიმო ამბულატორიის ექიმი ომარ ფრუიძე. დინჯი, აუჩქარებელი. დაკვირვებული, საქმის მცოდნე და ერთგული ადამიანი—აი, როგორ შეიძლება დავახასიათოთ ჩვენი ომარ ექიმი.

ბედნიერებაა პაცს

ჩვენი თქმა, ვამბობ, რადგან ის განურჩევლად ყველას ერთგულად ემსახურება.

მიმდინარე წლის მაისის თვეში უეცრად ცუდად გახდა ჩემი მამამთილი. მაშინვე უბნის ექთანმა მაგული ლეშკაშელმა გაუწია პირველი დახმარება, საჭირო გახდა ექიმის გამოძახება, მალე ომარ ექიმიც მოვიდა, მან ყველა ღონისძიება გაატარა ავადმყოფის უკეთესობისათვის. სრულიად ჩაწყნარდა ავადმყოფი. როცა ექიმის დამშვიდებელი დარიგება მოისმინა.

ომარი გზის სიშორეს და უამინდობას არ ერიდება. ფეხითაც ხშირად უხდება ავადმყოფთან მისვლა, მაგრამ მისავის ხომ ადამიანის სიცოცხლის გადარჩენაა მთავარი და იგი სიძნელეს არ უშინდება.

მადლობა უბნის ექიმს ომარ ფრუიძეს, უბნის ექთანს მაგული ლეშკაშელს და მედპერსონალს გულისხმიერი დახმარებისათვის. მრავალჯერ გაგეცადოთ ასეთი გამარჯვება!

ნაზი გუბავა,

ლაცორიის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

მოქალაქეთა საყურადღებოდ!

სახდაზღვევის ცაგერის ინსპექციაში ტარდება დოკუმენტური რევიზია.

თქვენთვის საჭირო საკითხების გარკვეისათვის გთხოვთ მიაკითხოთ სარევიზიო ბრიგადას.

ცაგერის სახდაზღვევის ინსპექცია.

აქტუალური ინტერვიუ

როდის გაჩნდება საქონელი მაღაზიებში?

შეშფოთებითა და იმედით ველოდით 2 აპრილს. შეშფოთებით—ოჯახის ბიუჯეტის გამო, იმედს კი ის გვინერგავდა, რომ დახლებზე, ბოლოს და ბოლოს, გამოჩნდებოდა საქონელი. და აი ფასები გაიზარდა, ბიუჯეტი დიდად არ შევსებულა, საქონელი კი მაინც არ ჩანს.

—მაინც, სად გაქრა საქონელი? დადიოდა ხმები, თითქოს საწყობებში სპეციალურად ქმნიდნენ მარაგს, რათა აპრილის პირველ რიცხვებში საქონლით წაელეკათ მაღაზიები.

—დიახ ასეთი ხმები ნამდვილად იყო,—თქვა საქართველოს ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ ვახტანგ ჩოგოვაძემ,—მაგრამ გარწმუნებთ, რომ არავითარი ზებუნებრივი მარაგი საწყობებსა და ბაზებში არ არის და არც შექმნილა. საქმე ის არის, რომ ზოგჯერ საქონელს იმ ფონდების მიხედვით, რომლებიც გვერგება, მთელი წლისას ერთბაშად გვიგზავნიან. ხომ არ შეგვიძლია ჩვენც ასევე ერთბაშად გავგზავნოთ იგი სავაჭრო ქსელში.

—სად არის გამოსავალი?

—სასაქონლო მასა ვაჭრობას აშკარად არ ყოფნის, მოსახლეობაში კი გროვდება ფული, რაც ტვირთად აწვება სამომხმარებლო ბაზარს. ასეთ პირობებში მთელი იმედი ემყარება საქართველოს პირდაპირ კავშირურთიერთობას საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან, სხვა ქვეყნებთან. ალბათ, ერთი-ორი კვირის შემდეგ რესპუბლიკის ერთ-ერთ ნავსადგურში შემოვა ყენიიდან ხორცითა და კარაქით დატვირთული გემი. ამ დღეებში ვაჭრობის მინისტრი დაბრუნდა ევროპის ქვეყნებში მოგზაურობიდან, რომლის დროსაც განიხილეს საქართველოში ხორცისა და რძის პროდუქციის მოწოდების შესაძლებლობები.

რა თქმა უნდა, რესპუბლიკას დიდი პოტენციალი აქვს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისათვის და, უკვე ახლა მიღებული ზომების წყალობით, შეეძლებთ მთლიანად გამოკვებოთ საკუთარი თავი ერთი-ორი წლის შემდეგ. მაგრამ, სანამ ეს მოხდებოდეს, რაღაც ხომ უნდა ვჭამოთ.. რაც შეეხება სამრეწველო საქონელს, თითქოს, ასევე ისახება იმედი—ვამყარებ კონტაქტებს ესტონეთთან, უკრაინასთან, აზერბაიჯანთან და სხვებთან. მაგალითად, ბოლოდროინდელ დელ-

ბილოცავთ

ბაბუ ირაოდის ძე ტვილდიანს

საყვარელო ბაბუ, გილოცავთ დაბადების დღეს. იხარე და იდღეგრძელე.

ნათია, თეა, ჯაბა, ლევანი.

მაკა შადიმანის ასულ დავითულიანს
მირიან რეზოს ძე კოპალიანს

გილოცავთ ცხოვრებაში ყველაზე ლამაზ დღეს, ბედნიერება, სიკეთე და სიყვარული ყოფილიყოს თქვენი დაქორწინებული ოჯახის თანამგზავრი.

ნინო, სოზარ, შურმან, ვალერი, ელიზა კოპალიანები, იამზე, გოგი დავითულიანები, როინ, ნანი ლეთოდიანები, მაია ყურაშვილი, ნათია ზედგინიძე, როსტომ, მაყვალა შკუბულიანები.

ლალი ლევანის ასულ ჩიქოვანს
კარლო ვახტანგის ძე კოპალიანს

ლალი მასწავლებელო! გილოცავთ ბედნიერებას. სიხარულით და სიყვარულით იყოს სავსე თქვენი ცხოვრების გზა.

მარინე სივსივა, მანანა ნემსწვერიძე, ხატი. ლიპარტელიანი, ტარიელ გვიშიანი, კახა მეგრელი ვალერი სილაგაძე.

მაკა კანდიტის ასულ ხვადაგიანს
მერაბ ჯემალის ძე ფრუიძეს

გილოცავთ ბედნიერებას. ფუძეძლიერი ოჯახი შეგექმნათ. შვილთა სიმრავლე დაგბედებოდეთ.

ალპანის სამკერვალო ფაბრიკის თანამშრომლები

მაკა კანდიტის ასულ ხვადაგიანს
მერაბ ჯემალის ძე ფრუიძეს

გილოცავთ ბედნიერებას, ღმერთი გფარავდეთ მარადლალი, ნანა ხვადაგიანები, ციური ბურჯალიანი, მარიკა კვენტაძე.

ლალი ჩიქოვანს
კარლო კოპალიანს

გილოცავთ ბედნიერებას. გამრავლდით, მარადიული სიყვარული და სიხარული ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი.

ია მდივანი, მარინე გოგიძე, ირა საღინაძე, ნათელა, ნუნუ, მთვარისა კოპალიანები, ფოთოლა გურასაშვილი, მარინე ლეთოდიანი, გულო მეშველიანი.

ირინე ფხაკაძეს
კოგა კოპალიანს

გილოცავთ ბედნიერებას. ფუძეძლიერი ყოფილიყოს თქვენი ახლადშექმნილი ოჯახი.

ია მდივანი, ირა საღინაძე, ნათელა კოპალიანი.

ნინო გიორგოგბიანს
გია გურგუჩიანს

გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ შვილთა სიმრავლეს, ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

ფიქრია, ვერიკო, სოფიკო, გვანცა, ლალი, მალხაზ მახარობლიძეები.

ბილოცავთ

ჯაბუ ირაოდის ძე ტვილდიანს

საყვარელო ბაბუ, გილოცავთ დაბადების დღეს. იხარე და იდღეგრძელე.

ნათია, თეა, ჯაბა, ლევანი.

ნაზიკო ხეცურიანს
რეზო კოპალიანს

გილოცავთ შვილის მირიანის ბედნიერებას. შეექმნათ ქართული ოჯახი. დაგბედებოდეთ სიკეთე და შვილთა სიმრავლე. ღმერთი იყოს მათი მფარველი.

თამარ ლეთოდიანი, ლენა კოპალიანი, ეთერ, კოსტა ნემსწვერიძეები, ვენერა, რეზო ყურაშვილები, გერონტი, ციური კოპალიანები.

ხათუნა მირმანის ასულ შკუბულიანს

გილოცავთ დაბადების დღეს. იხარე და იდღეგრძელე. მარადჟამს ღმერთი იყოს შენი მფარველი.

მირმან, სერგო შკუბულიანები, მთვარისა, ირა საღინაძეები.

ვენერა, ბორის ჭაგუკიანებს

გილოცავთ შვილის, გიას ბედნიერებას. შვილმრავალი ყოფილიყოს თქვენი ოჯახი.

ზურაბ (ყორა) ხვისტანი ოჯახით.

ქორა, ნელი, აზა აკობიძეებს
მამუკა სვანიძეს

გილოცავთ შვილიშვილის და ვაჟიშვილის შეძენას. გაეზარდოთ სასახელო ვაჟკაცი.

ბუხუტი ხეცურიანი ოჯახით.

ციცინო ირემაძეს, დიტო ჩაფრაკას

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას, გაზრდილიყოს ერის სასახელო ვაჟკაცი.

უანა, მურად ხაბულიანები.

ალექსანდრე, ჯემალ, ფეჩერ გოლეთიანები ოჯახებით

იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ბაბა გარსევანის ასული

გოლეთიანი—ლეთოდიანი.

მეუღლე ზინა, შვილები ნაცო, ანჟელა, რევაზი, მურთაზი, ამირანი, მზია. რძლები ქინვერ არჩკაძე, ნელი ფერაძე. სიძე გრიშა გელოვანი, ცოლისდა სერონ, შვილიშვილები თემური, თენგიზი, გიორგი, ნათია, ელისო, კახა, ინგა. დათო, დისშვილები, ცოლისდისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გიორგი მიხეილის ძე სვანიძე.

დაკრძალვა 20 ივლისს, შაბათს, სოფ. სანორჩში.

ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ ბიბლიოთეკების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნელი, შალვ ფოჩხიძეებს

დარეჯან და ოთარ ზურაბიანების

გარდაცვალების გამო.

ბუხლოესი მეზობლები თანაუგრძნობენ რონა, დათო მჩქაძეებს

სიძისა და ქვისლის

ოთარ ხუნწარიას

გარდაცვალების გამო.

დავით ნემსწვერიძე, ვლადიმერ, ბადრი, ამირან ბუბეგაძეები ავთანდილ კვენტაძე ოჯახებით

იუწყებიან

ციცო კოპალიანის

და თამრიკო ხეცურიანის

გარდაცვალების.

„ლეჩხუმი" გამოდის 4 საქმაბათს
• სამშაბათს
• ოთხშაბათს
• შაბათს

ჩვენი მისამართია: 384100 ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №56 ტელეფონები: რედაქტორის — 22-11.
რედაქტორის მოადგილის—22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-34, სახალხო მეურნეობის განყოფილების —22-33, მშრომელთა წერილების განყოფილების —22-41, სტამბის დირექტორის 22-17, საბუღალტერიის —22-23.
შეკვეთა № 80 ტირაჟი—4546

რედაქტორი
ნ. ნიმსაძე

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო დეპარტამენტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.